პროექტი PRINTeL

ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრეინინგი

„აქტიური სწავლება შებრუნებული სწავლების პრინციპით“

11-15 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრეინინგ-კურსი „აქტიური სწავლება შებრუნებული სწავლების პრინციპით“ (Active Learning in the Flipped Classroom), რომელსაც უძღვებოდა ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მანუჩარ შიშინაშვილი (სამშენებლო ფაკულტეტი). მან შესაბამისი შესაბამისი გადამზადება (ტრენერთა ტრენინგები - TOT) გაიარა პროექტის კონსორციუმის წევრ პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტში, კერძოდ, ლინკოპინგის უნივერსიტეტში (შვედეთი).

მზადება დასაწყებად

ტრეინინგები 5 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, დღეში 2-საათიანი სესიების ფორმატში და ითვალისწინებდა ინოვაციური პედაგოგიკის და სწავლისა და სწავლების ინოვაციური Flipped Classroom (ე.წ. შებრუნებული სწავლება) მეთოდის განხილვას, პედაგოგიკის ამ მეთოდის შესაბამისი უნარების განვითარებას, Flipped Classroom სწავლების მეთოდებსა და

მოდელებს, მასიურად ღია ონლაინ წყაროებზე წვდომისათვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების განხილვებს, ასევე, ინტერაქტიული პროგრამა sli.do მუშაობის პრინციპების შესწავლასა და პროგრამა PowerPoint-ში ვიდეო ლექციების შექმნის პრაქტიკულ სამუშაოებს.

„აქტიური სწავლება შებრუნებული სწავლების პრინციპით„ შესახებ

Sli.do და Menti.com

ჯამში 10-საათიანი აქტივობა საკმაოდ დატვირთულ და ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა და მთლიანად ეფუძნებოდა ლინკოპინგის უნივერსიტეტის და პროექტის სხვა პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებას.

ჯგუფური მუშაობა

ტრეინინგებს ესწრებოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, რომლებსაც კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ გადაეცათ შესაბამისი ორენოვანი სერტიფიკატები.

ჯგუფური სამუშაოს პრეზენტაცია

აღნიშნული ტრეინინგები ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციების ცენტრის, პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (რომელიც, თავის

მხრივ, PRINTeL პროექტის ინსტიტუციური განვითარების კონტექსტის გათვალისწინებით დაფუძნდა) და სტუ-ს პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომლობით.

სერთიფიკატების გადაცემა

ტრენინგის დასასრული